საიდ. №73339/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №99-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), თ.ჯაფარიძე, ლ. კერესელიძე, გ. დუდუჩავას მდივნობით განიხილა კომპანია ,,აგკო კორპორეიშენ" (მის.: 4205 რივერ გრინ პარკუეი, დულუთი, ჯორჯია 30096) (AGCO Corporation, 4205 River Green Parkway, Duluth, Georgia 30096) სააპელაციო საჩივარი (საიდ. N99-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ" №411/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნისათვის - ,,AGCO" (№73339/03) რეგისტრაცია საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-7 და მე-12 კლასები).

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის №411/03 ბრძანებაზე ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ" თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს ,,AGCO" უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ვინაიდან, ის მსგავსია კომპანიის ,,ასაჰი გლას კომპანი ლიმითედ" (იაპონია) („Asahi Glass Company, Limited") სახელზე მე-7 და მე-12 კლასის მსგავსი და იდენტური საქონლისათვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოში დაცული სასაქონლო ნიშნისა „AGC" (IR N1000002, რეგ. თარიღი: 31.05.2007). ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია იგლისურ ენაზე და აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა, ხოლო განცხადებულ ნიშანში დამატებითი დაბოლოების - ,,O" არსებობა ვერ უზრუნველყოფს ნიშნებს შორის საკმაო განმასხვავებლობას, რაც ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანს „AGCO" უარი უნდა ეთქვა რეგისტრაციაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვლისათვის.

აპელანტი კომპანიის ,,აგკო კორპორეიშენ" (AGCO Corporation) წარმომადგენელი გიორგი თაქთაქიშვილი, არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით, სასაქონლო ნიშანს ,,AGCO" (საიდ. N73339/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-7 და მე-12 კლასების საქონლის ჩამონათვლის მიმართ. ექსპერტიზამ უარყოფით გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ საქართველოში მადრიდის შეთანხმების ოქმით

კომპანიის ,,ასაჰი გლას კომპანი, ლიმიტიდ" (Asahi Glass Company, Limited) სახელზე დაცულია უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშანი „AGC", (IR N1000002, რეგ. თარიღი: 31.05.2007) მე-7 და მე-12 მსგავსი ჩამონათვლისათვის, რაც ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" პუნქტის თანახმად, წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს. აპელანტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და განცხადებული სასაქონლო ნიშანი უნდა დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდებიან გრაფიკულად (ვიზუალურად). მიუხედავად იმისა, რომ როგორც განცხადებული, ასევე, დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია ლათინური ასოებით, განსხვავებულია დაპირისპირებულ ნიშნებში -,,AGCO" და „AGC" ასოების რაოდენობა - განცხადებული ნიშანში შედგება ოთხი ასოსაგან, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი სამასოიანია, რაც მოკლე ნიშნების შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რადგან, მათი სიგრძიდან გამომდინარე, ვიზუალურად აღიქმება სრულიად განსხვავებულად. განსხვავებულობას უფრო აძლიერებს და მკვეთრს ხდის ის გარემოება, რომ დაპირისპირებული ნიშანი ფერადია, კერძოდ, იგი შესრულებულია ლურჯ ფერში და ასოს „G" ხაზოვანი ელემენტი შესრულებულია წითელ ფერში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსი, რაც გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ.

ნიშნებს შორის გრაფიკული განსხვავება აისახება ნიშნების ფონეტიკურ მახასიათებლებზეც. განცხადებული ნიშანი ქართულად გამოითქმის, როგორც „აგკო", მაშინ, როცა დაპირისპირებული ნიშანი წარმოადგენს მფლობელი კომპანიის ,,Asahi Glass Company" დასახელების აბრევიატურას - „AGC" და გამოითქმის, როგორს „ეი-ჯი-სი", ან, „აგკ", შესაბამისად, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების ჟღერადობა განსხვავებულია, რაც, ასევე, გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში

შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ.

განცხადებულ და დაპირისპირებულ ნიშნებს არ გააჩნიათ სემანტიკური დატვირთვა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ნიშნების ზემოთ მოყვანილ გრაფიკულ და ფონეტიკურ ანალიზს, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსი და, შესაბამისად, არ არსებობს მომხმარებლის მიერ მათი აღრევის შესაძლებლობა.

,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს იმ საქონლის მსგავსება, რომლისთვისაც განცხადებულია დაპირისპირებული ნიშნები. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ დაპირისპირებული ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი სხვადასხვაა, ნიშნების იდენტურობის შემთხვევაშიც კი, არ არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში საქპატენტის ექსპერტიზის ერთადერთ არგუმენტს, საქონლის მსგავსებასთან დაკავშირებით, წარმოადგენს ის გარემოება, რომ ორივე ნიშნის რეგისტრაცია მოთხოვნილია მე-7 და მე-12 კლასების საქონლისათვის. თუმცა, საქპატენტის ექსპერტიზა არ განმარტავს, კონკრეტულად რაში გამოიხატება დაპირისპირებული ნიშნების საქონლის მსგავსება. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ორივე ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-7 და მე-12 კლასებში შემავალი საქონლისათვის, არ არის საკმარისი საქონლის მსგავსების დასადგენად. საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულია, რომ ნიცის კლასიფიკაცია არ წარმოადგენს საქონლის მსგავსების დადგენის ინსტრუმენტს, არამედ მისი მიზანი მხოლოდ საქონლის კლასიფიკაციაა. ასევე, საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილია, რომ ნიცის კლასიფიკატორის ერთსა და იმავე კლასში საქონლის არსებობა, არ შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც მსგავსების დადგენის არგუმენტი. შესაბამისად, საქონლის მსგავსების დადგენა, ექსპერტიზის მიერ, უნდა მოხდეს

საქონლის სახის, ხასიათის გათვალისწინებით და არა ფორმალურად რომელიმე კლასისათვის მიკუთვნებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტს მიაჩნია, რომ დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალი განსხვავებულია. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშნის ,,AGCO“ მფლობელი კომპანია ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს მე-7 და მე-12 კლასების შემდეგი საქონლის ჩამონათვლისათვის: ,,7 - მანქანები, დანადგარები, ინსტრუმენტები და ჩარხები სოფლის მეურნეობაში, მოსავლის აღებაში, მებაღეობაში, მეტყევეობაში, მასალებისა და გრუნტის ჩატვირთვა-განტვირთვაში, ხე-ტყის ჩატვირთვა-განტვირთვაში და სამოქალაქო მშენებლობაში გამოსაყენებლად; მანქანები და ძრავები (სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა); ნაწილები და დეტალები ყველა ზემოჩამოთვლილი საქონლისათვის“, ხოლო დაპირისპირებული ნიშნის „AGC“ მფლობელ კომპანიას სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებული აქვს შემდეგი საქონლისათვის: ,,7 - ლითონდამამუშავებელი მანქანები და ჩარხები; სამთო მანქანები და აპარატები; სამშენებლო მანქანები და აპარატები; ჩატვირთვა-განტვირთვის მანქანები და აპარატები; თევზჭერის მანქანები და აპარატები; მანქანები და აპარატები ქიმიური პროცესებისათვის; საქსოვი მანქანები და აპარატები; კვების ან სასმელების წარმოების მანქანები და აპარატები; ხე-ტყის დამამზადებელი, ხის დამამუშავებელი ან შპონის ან ფანერის დამამზადებელი მანქანები და აპარატები; ცელულოზის, ქაღალდის დამამზადებელი ან ქაღალდის მწარმოებელი მანქანები და აპარატები; საბეჭდი ან საამკინძაო მანქანები და აპარატები; საკერავი მანქანები; სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები; ფეხსაცმლის დამამზადებელი მანქანები; ტყავის მთრიმლავი მანქანები; თამბაქოს დასამუშავებელი მანქანები; მინის ნაწარმის დამამზადებელი მანქანები და აპარატები; სამღებრო მანქანები და აპარატები; შემხვევი ან მფუთავი მანქანები და აპარატები; ამძრავიანი სამეთუნეო ქარგოლები; პლასტმასის დამამზადებელი მანქანები და აპარატები; ნახევარგამტარების მწარმოებელი მანქანები და სისტემები;

რეზინის ნაწარმის დამამზადებელი მანქანები და აპარატები; ქვის დამამუშავებელი მანქანები და აპარატები; არაელექტრული პირველადი ძრავები (არა სახმელეთო ტრანსპორტისათვის); პნევმატიკური ან ჰიდრავლიკური მანქანები და ინსტრუმენტები; წებოვანი ლენტების მიმწოდებელი მანქანები; ავტომატური საშტამპავი მანქანები; ჭურჭლის სარეცხი მანქანები; ცვილით საპრიალებელი ელექტრული მანქანები; სარეცხი მანქანები; მტვერსასრუტები; ელექტრული ბლენდერები საკვებისათვის; სხვა სამანქანო დანადგარების სარემონტო მანქანები და აპარატები; მექანიკური სისტემები პარკინგისათვის; ტრანსპორტის გასარეცხი დანადგარები; ამძრავიანი სასხურებლები დეზინფიცირების, ინსექტიციდებისა და დეოდორანტებისათვის (არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების); სამანქანო ელემენტები (არა სახმელეთო ტრანსპორტისათვის); გაზონსაკრეჭები; ფარდის გასაწევი ელექტრული მოწყობილობები; ნარჩენების დასაწნეხი მანქანები და აპარატები; ნარჩენების დასაქუცმაცებელი მანქანები; მოტორებისა და ძრავების სტარტერები; ცვლადი და მუდმივი დენის მოტორები (არა სახმელეთო ტრანსპორტისათვისგანკუთვნილი, მაგრამ ყველა სახის ცვლადი და მუდმივი დენის მოტორების „ნაწილები“); ცვლადი დენის გენერატორები; მუდმივი დენის გენერატორები; მუდმივი დენის გენერატორის მუსები“. (Metalworking machines and tools; mining machines and apparatus; construction machines and apparatus; loading-unloading machines and apparatus; fishing machines and instruments; chemical processing machines and apparatus; textile machines and apparatus; food or beverage processing machines and apparatus; lumbering, woodworking, or veneer or plywood making machines and apparatus; pulp making, papermaking or paper-working machines and apparatus; printing or bookbinding machines and apparatus; sewing machines; agricultural machines and implements; shoe making machines; leather tanning machines; tobacco processing machines; glassware manufacturing machines and apparatus; painting machines and apparatus; packaging or wrapping machines and apparatus; power-operated potters' wheels; plastic processing machines and apparatus; semiconductor manufacturing machines and

systems; rubber-goods manufacturing machines and apparatus; stone working machines and apparatus; non-electric prime movers (not for land vehicles); pneumatic or hydraulic machines and instruments; adhesive tape dispensing machines; automatic stamping machines; dish washing machines; electric wax-polishing machines; washing machines; vacuum cleaners; electric food blenders; machines and apparatus for repairing other machinery; mechanical parking systems; vehicle washing installations; power sprayers for disinfecting, insecticides and deodorants (not for agricultural purposes); machine elements (not for land vehicles); lawnmowers; curtain drawing devices, electronically operated; waste compacting machines and apparatus; waste crushing machines; starters for motors and engines; AC motors and DC motors (not including those for land vehicles but including "parts" for any AC motors and DC motors); AC generators (alternators); DC generators; dynamo brushes.).

ანალოგიური სურათია მე-12 კლასის საქონლის ჩამონათვლების შედარებისას, კერძოდ, განცხადებული ნიშანი მოიცავს შემდეგ საქონელს: ,, 12 - სატრანსპორტო საშუალებები სოფლის მეურნეობაში, მოსავლის აღებაში, მებაღეობაში, მეტყევეობაში, მასალებისა და გრუნტის ჩატვირთვა-განტვირთვაში, ხე-ტყის ჩატვირთვა-განტვირთვაში და სამოქალაქო მშენებლობაში გამოსაყენებლად; სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების მოტორები და ძრავები; ნაწილები და დეტალები ყველა ზემოჩამოთვლილი საქონლისათვის“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი დაცულია შემდეგი საქონლისათვის: ,,12 - საბაგირო სისტემები ტვირთისა და ბარგის ტრანსპორტირებისათვის; ჩასატვირთი ურიკები (ასაყირავებელი სარკინიგზო სატვირთო ვაგონებისათვის); მაღაროს მაზიდის მიმწოლები; მაღაროს მაზიდის სახსნელები; ტრაქტორები; არაელექტრული პირველადი ძრავები სახმელეთო ტრანსპორტისათვის (გარდა მათი „ნაწილებისა“); ტრანსმისიის კომპონენტები სახმელეთო ტრანსპორტისათვის; პარაშუტები; გატაცების საწინააღმდეგო სიგნალიზაცია სატრანსპორტო საშუალებებისათვის; ცვლადი და მუდმივი დენის მოტორები სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისათვის (გარდა მათი

„ნაწილებისა“); ხომალდები და მათი ნაწილები და ფიტინგები; საფრენი აპარატები და მათი ნაწილები და ფიტინგები; რკინიგზის მოძრავი შემადგენლობები და მათი ნაწილები და ფიტინგები; ავტომობილების ფანჯრები, ავტომობილები და მათი ნაწილები და ფიტინგები; ორთვლიანი მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებები, ველოსიპედები და მათი ნაწილები და ფიტინგები; საბავშვო ეტლები; რიქშები; მარხილები და ციგები; მაზიდები; ურიკები; ცხენის ეტლები; ველოსიპედის მისაბმელები; კამერის ან საბურავის სარემონტო რეზინის თვითწებვადი ზესადებები“. (Ropeways for cargo or freight handling; unloading tipplers (for tilting railway freight cars); mine-car pushers; mine-car pullers; tractors; non-electric prime movers for land vehicles (not including "their parts"); transmission components for land vehicles; parachutes; anti-theft alarms for vehicles; AC motors or DC motors for land vehicles (not including "their parts"); vessels and their parts and fittings; aircraft and their parts and fittings; railway rolling stock and their parts and fittings; automobile windows, automobiles and their parts and fittings; two-wheeled motor vehicles, bicycles and their parts and fittings; baby carriages (prams); rickshaws; sleighs and sleds; wheelbarrows; carts; horse drawn carriages; bicycle trailers (riyakah); adhesive rubber patches for repairing tubes or tires.). დაპირისპირებული ნიშნებით მონიშნული მე-7 და მე-12 კლასების საქონლის ჩამონათვალის შედარებისას, აშკარაა განსხვავება წარმოებულ საქონელს შორის. განცხადებული ნიშნის მფლობელი კომპანია, ძირითადად აწარმოებს მანქანა-დანადგარებს სოფლის მეურნეობისა და მებაღეობა-მეტყევეობისათვის, ხოლო დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანია, აწარმოებს სამრეწველო მანქანებს სხვადასხვა დარგებისათვის, რასაც ამყარებს წარმოდგენილი ამონაწერები ვიკიპედიიდან და კომპანიების ვებ გვერდებიდან მათი საქმიანობისა და ნაწარმის შესახებ. როგორც ამონაწერებიდან ჩანს, ორივე კომპანია წარმოადგენს მსხვილ და წარმატებულ მწარმოებლებს, ერთმანეთისაგან სრულიად განცხვავებულ სფეროებში. სწორედ წარმოებულ საქონელს შორის არსებული განსხვავება, სავარაუდოდ, აძლევს ამ კომპანიებს ბაზარზე მშვიდობიანი თანაარსებობის საშუალებას, რის

დასტურადაც, აპელანტის მიერ, წარმოდგენილია სასაქონლო ნიშნების ,,AGCO“ და „AGC“ რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთები ერთსა და იმავე ქვეყნებში, კერძოდ, ავსტრალიაში, ისლანდიაში, კენიაში, მაკედონიაში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში, თურქეთში, თურქმენეთში, უზბეკეთსა და ვიეტნამში.

მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალი მიეკუთვნება ერთსა და იმავე კლასებს, ნათელია, რომ მათი რეგისტრაცია მოითხოვება ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული საქონლისათვის. თანამედროვე პრაქტიკა თუნდაც მსგავსი დაპირისპირებული ნიშნების შემთხვევაშიც, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განსხვავებას დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვლებს შორის. ამასვე ადასტურებს საქპატენტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები სასაქონლო ნიშნებთან ,,soliani“ - ,,joliani“ და ,,ROTT“ –,, ROTH“ დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, სააპელაციო პალატის კოლეგიამ მხედველობაში მიიღოს აღნიშნული გარემოებები და სასაქონლო ნიშანი ,,AGCO“ (საიდ. N73339/03), დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №99-03/14) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები აღრევამდე მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად.

ორივე ნიშანი შესრულებულია სტანდართული ლათინური ასომთავრული ასოებით „AGCO” - „AGC”. მართალია, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს და სიტყვიერ აღნიშვნასთნ ერთად შეიცავს გამოსახულებას, კერძოდ ნიშანში „G” ასო ორ ფერშია შესრულებული, მაგრამ აღნიშნული ვერ სძენს ნიშნებს საკმარის განმსახვავებელუნარიანობას. ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი მთლიანად მოიცავს დაპირისპირებულ ნიშანს და

ნიშანში დამატებით ერთი თანხმოვნის - „O” არსებობა ასევე ვერ სძენს ნიშნებს განმასხვავებლობას.

გარდა ამისა, განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ შეიძლება გამოითქვას, როგორც „აგკო“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი, როგორც „აგკ“ ან „ეიჯისი“.

კოლეგია ასევე არ იზიარებს აპელანტის იმ მოსაზრებას, რომ წარმოდგენილი ნიშნის საქონელი განსხვავდება დაპირისპირებული ნიშნის საქონელის მიმართ. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი (კლასი7 – „მანქანები, დანადგარები, ინსტრუმენტები და ჩარხები სოფლის მეურნეობაში, მოსავლის აღებაში, მებაღეობაში, მეტყევეობაში, მასალებისა და გრუნტის ჩატვირთვა-განტვირთვაში, ხე-ტყის ჩატვირთვა-განტვირთვაში და სამოქალაქო მშენებლობაში გამოსაყენებლად; მანქანები და ძრავები (სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა); ნაწილები და დეტალები ყველა ზემოთჩამოთვლილი საქონლისათვის“) მსგავსია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის მიმართ და ძირითად შემთხვევაში მოიცავს ამავე ნიშნის საქონლის ჩამონათვალს, კერძოდ, კლასი 7 – „Metalworking machines and tools; mining machines and apparatus; construction machines and apparatus; loading-unloading machines and apparatus; fishing machines and instruments; chemical processing machines and apparatus; textile machines and apparatus; food or beverage processing machines and apparatus; lumbering, woodworking, or veneer or plywood making machines and apparatus; pulp making, papermaking or paper-working machines and apparatus; printing or bookbinding machines and apparatus; sewing machines; agricultural machines and implements; shoe making machines; leather tanning machines; tobacco processing machines; glassware manufacturing machines and apparatus; painting machines and apparatus; packaging or wrapping machines and apparatus; power-operated potters' wheels; plastic processing machines and apparatus; semiconductor manufacturing machines and systems; rubber-goods manufacturing machines and apparatus; stone working machines

and apparatus; non-electric prime movers (not for land vehicles); pneumatic or hydraulic machines and instruments; adhesive tape dispensing machines; automatic stamping machines; dish washing machines; electric wax-polishing machines; washing machines; vacuum cleaners; electric food blenders; machines and apparatus for repairing other machinery; mechanical parking systems; vehicle washing installations; power sprayers for disinfecting, insecticides and deodorants (not for agricultural purposes); machine elements (not for land vehicles); lawnmowers; curtain drawing devices, electronically operated; waste compacting machines and apparatus; waste crushing machines; starters for motors and engines; AC motors and DC motors (not including those for land vehicles but including "parts" for any AC motors and DC motors); AC generators (alternators); DC generators; dynamo brushes.“ ანალოგიური შემთხვევაა მე-12 კლასის საქონლის ჩამონათვალის (კლასი 12 - სატრანსპორტო საშუალებები სოფლის მეურნეობაში, მოსავლის აღებაში, მებაღეობაში, მეტყევეობაში, მასალებისა და გრუნტის ჩატვირთვა-განტვირთვაში, ხე-ტყის ჩატვირთვა-განტვირთვაში და სამოქალაქო მშენებლობაში გამოსაყენებლად; სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების მოტორები და ძრავები; ნაწილები და დეტალები ყველა ზემოთჩამოთვლილი საქონლისათვის“) მიმართაც. საქონელი მსგავსია და მოიცავს დაპირისპირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალს, კერძოდ, კლასი 12 - Ropeways for cargo or freight handling; unloading tipplers (for tilting railway freight cars); mine-car pushers; mine-car pullers; tractors; non-electric prime movers for land vehicles (not including "their parts"); transmission components for land vehicles; parachutes; anti-theft alarms for vehicles; AC motors or DC motors for land vehicles (not including "their parts"); vessels and their parts and fittings; aircraft and their parts and fittings; railway rolling stock and their parts and fittings; automobile windows, automobiles and their parts and fittings; two-wheeled motor vehicles, bicycles and their parts and fittings; baby carriages (prams); rickshaws; sleighs and sleds; wheelbarrows; carts; horse drawn carriages; bicycle trailers (riyakah); adhesive rubber patches for repairing tubes or tires.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არსებობს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ,,აგკო კორპორეიშენ“ (AGCO Corporation) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ” №411/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: თ. ჯაფარიძე

ლ. კერესელიძე